

ტესტის სახელწოდება

ტესტოსტერონი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში ტესტოსტერონის რაოდენობას განსაზღვრავს. ტესტოსტერონი მამაკაცის მთავარი სასქესო ჰორმონია. ეს ჰორმონი მცირე რაოდენობით ქალებშიც გვხვდება.

მამაკაცებში ტესტოსტერონი, ძირითადად, სათესლე ჯირკვლებში, ლეიდიგის უჯრედების მიერ გამოიმუშავდება; მცირე რაოდენობით მისი წარმოქმნა თირკმელზედა ჯირკვალშიც ხდება. ქალებში ტესტოსტერონი მცირე რაოდენობით წარმოიქმნება საკვერცხეებსა და თირკმელზედა ჯირკვლებში.

ტესტოსტერონი მამაკაცებში მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებაზე, კუნთოვანი და ძვლოვანი მასის შენარჩუნებაზეა პასუხისმგებელი. ტესტოსტერონის დონე სქესობრივი მომწიფებისას იმატებს. დაახლოებით 30 წლის ასაკიდან მისი რაოდენობა თანდათან იწყებს შემცირებას.

ტესტოსტერონის წარმოქმნას მალუთეინიზირებელი ჰორმონი (LH) ასტიმულირებს. მისი რაოდენობის რეგულირება უარყოფითი უკუკავშირის მექანიზმით ხორციელდება – როდესაც ტესტოსტერონის დონე დაბალია, გამოიყოფა მალუთეინიზირებელი ჰორმონი, რაც ტესტოსტერონის დონის მომატებას იწვევს. როდესაც ტესტოსტერონის დონე მაღალია, მალუთეინიზირებელი ჰორმონის და შესაბამისად, ტესტოსტერონის წარმოქმნაც მცირდება.

სისხლში არსებული ტესტოსტერონის დიდი ნაწილი დაკავშირებულია SHBG-თან (სასქესო ჰორმონთან დამაკავშირებელ გლობულინთან), დაახლოებით 1/3 დაკავშირებულია ალბუმინთან. ტესტოსტერონის მხოლოდ მცირე ნაწილია ცილებთან შეუკავშირებელი და მას თავისუფალი ტესტოსტერონი ეწოდება. ტესტოსტერონის ანალიზით, ჩვეულებრივ, ამ ჰორმონის მთლიან რაოდენობას ანუ საერთო ტესტოსტერონს განსაზღვრავენ. თუმცა ზოგჯერ საჭირო ხდება თავისუფალი ტესტოსტერონის ანალიზი გაკეთდეს.

ჩვეულებრივ, ტესტოსტერონის დონე დილით უფრო მაღალია, ვიდრე საღამოს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ტესტოსტერონის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს:

- მამაკაცებში ერექციული დისფუნქციის ან უნაყოფობის მიზეზის დასადგენად;
- ქალებში უნაყოფობის მიზეზის დასადგენად; ასევე, მამაკაცური ნიშნების (ხმის დაბოხება, ჰირსუტიზმი და სხვ.) გაჩენისას;
- პოლიციტური საკვერცხის სინდრომის დიაგნოსტიკისთვის;
- ნაადრევი ან დაგვიანებული სქესობრივი მომწიფების მიზეზის დასადგენად

ტესტოსტერონის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს, როდესაც ქალს არარეგულარული მენსტრუალური ციკლი ან ამენორეა აღენიშნება. ეს ტესტი ასევე კეთდება სათესლეების სიმსივნეების, ჰიპოთალამუსის ან ჰიპოფიზის დაავადებების დიაგნოსტიკისას.

ტესტოსტერონის ანალიზი ხშირად სხვა ანალიზებთან ერთად შეიძლება დაინიშნოს, მაგალითად, როგორებიცაა LH (მალუთეინიზირებელი ჰორმონი), პროლაქტინი, ესტრადიოლი, 17-OH პროგესტერონი, დეჰიდროეპიანდროსტერონსულფატი (DHEA-S) და სხვ.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

მამაკაცებში ტესტოსტერონის მაღალი დონე სათესლის ან თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნეებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ქალებში ტესტოსტერონის დონის მომატების მიზეზი საკვერცხის სიმსივნე, თირკმელზედა ჯირკვლის სიმსივნე ან პოლიციტური საკვერცხის სინდრომი შეიძლება იყოს.

ტესტოსტერონის დაბალი დონე გამოწვეული შეიძლება იყოს შემდეგი მიზეზებით:

- გენეტიკური დარღვევით, მაგ. კლაინფელტერის სინდრომით;
- სათესლეების დაზიანებით
- ჰიპოთალამუსის ან ჰიპოფიზის დაავადებებით
- ქრონიკული დაავადებით, მაგ. შაქრიანი დიაბეტით

ტესტოსტერონის დონეზე ზოგიერთმა მედიკამენტმაც შეიძლება იქონიოს გავლენა.